,,დამტკიცებულია''

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ტბელ აბუსერისძის სახელობისსასწავლო უნივერსიტეტის
რექტორის, სხალთისმთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ
2023 წლის 14 მარტის №01-05-04/2 ბრძანებით

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

პროფესიული განათლების მასწავლებლის

შეფასების და წახალისების წესი

ხიჭაური
2023 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების და წახალისების წესი (შემდგომში – „წესი“) განსაზღვრავს უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მასწავლებლების მუშაობის შედეგების შეფასებას;

1.2 უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების და წახალისების წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მასწავლებლების მუშაობის შედეგების შეფასების მიხედვით წახალისების პროცედურებს;

1.3 წესი ვრცელდება უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1. წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შეფასება - პროფესიული განათლების მასწავლებლების გაწეული შრომის შეფასება განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;

ბ) შეფასების კრიტერიუმები - შეფასებისთვის განსაზღვრული საზომი, რომლის მიხედვითაც ხდება მასწავლებლების შეფასება.

გ) წახალისება - ინსტრუმენტი, რომელიც მოტივაციას უმაღლებს მასწავლებლებს გულმოდგინედ იმუშაონ თვითგანვითარების, უნივერსიტეტის და პროფესიული განათლების სასარგებლოდ.

დ) წახალისების ფორმები - წახალისების ფორმა შესაძლოა იყოს, როგორც მატერიალური ისე არამატერიალური.

მუხლი 3. კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული განათლებისმასწავლებელი:

3.1 თვითგანვითარების აქტივობებში ჩართვის მაღალი მოტივაცია/კარიერულ ზრდაზე ორიენტირება:

ა)პროფესიული განვითარების ტრენინგ-კურსებში მონაწილეობა;

ბ)კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო აქტივობებშივორქშოპებში /სემინარებში ჩართვა.

3.2 კომპეტენციის ფარგლებში მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდების უზრუნველყოფა.

ა)პროფესიული სტუდენტების დასწრების მაღალი მაჩვენებელი;

ბ)პროფესიული სტუდენტების საუკეთესო შედეგების მიღწევის მტკიცებულება;

გ)სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის/ ტექნიკის წარმატებული გამოყენება;

დ) პროფესიული სტუდენტების უნივერსიტეტის აქტივობებში ჩართვის და სოციალური ინტეგრაციის წახალისება

3.3. უნივერსიტეტის განვითარებისთვის შეტანილი წვლილი.

ა)ინოვაციური იდეების დანერგვის ხელშეწყობა;

ბ) კოლეგებისთვის ცოდნის და გამოცდილების გაზიარება;

გ)უნივერსიტეტის სახელით პროფესიული წარმატების მიღწევა/დაჯილდოვება.

მუხლი 4. პროფესიული განათლების მასწავლებლის წახალისების ფორმები წახალისების ფორმებია:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ფულადი ჯილდო (პრემია);

გ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) კვალიფიკაციის ასამაღლებელი ან პროფესიული გადამზადების კურსებით დაჯილდოება;

მუხლი 5. პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების წესი

5.1 პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასდებიან წინამდებარე წესის მესამე მუხლის შესაბამისად. (შეფასების რუბრიკა დანართი 1.)

5.2 პროფესიული განათლების მასწავლებლების შეფასება მოხდება, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრების მიერ წინამდებარე წესის მესამე მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტების შესაბამისად. (შეფასების რუბრიკა დანართი 1.)

ა) პუნქტი 3.1. თვითგანვითარების აქტივოებებში ჩართვის მაღალი მოტივაცია/კარიერულ ზრდაზე ორიენტირება - უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და კანცელარია;

ბ) პუნქტი 3.2. კომპეტენციის ფარგლებში მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდების უზრუნველყოფა - უნივერსიტეტის ადმინისტრაცია;

გ) პუნქტი 3.2. უნივერსიტეტის განვითარებისთვის შეტანილი წვლილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

5.3 პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება მოხდება წელიწადში ორჯერ მეორე და მეოთხე კვარტლის ბოლოს.

5.4 პროფესიული განათლების მასწავლებლის წახალისება შეიძლება მოხდეს წელიწადში ორჯერ მეორე და მეოთხე კვარტლის ბოლოს.

მუხლი 6. პროფესიული განათლების მასწავლებლის წახალისების წესი

6.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების შედეგების შესაბამისად წახალისება ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) მადლობის გამოცხადება, როგორც წახალისების ფორმა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით,/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ბ) ფულადი ჯილდო შეიძლება მიეცეს, საუკეთესო შედეგების შეფასებისას, როგორც წახალისების ფორმა და გამოყენებულ იქნეს რექტორის გადაწყვეტილებით.

6.2.შედეგების შეფასებიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ შესაძლებელია, გამოყენებული იყოს წახალისების ფორმებიდან ერთდროულად რამდენიმე.

დანართი 1

N	ესიული განათლების მასწავლებელი	შეფასება		კომენტარი
		აღწერა	ქულა	
1	შეფასების კრიტერიუმები	საუკეთესო/ქულა 3		
	თვითგანვითარების აქტივობებში ჩართვის მაღალი მოტივაცია/კარიერულ ზრდაზე ორიენტირება: ა)პროფესიული განვითარების ტრენინგ-კუსებში მონაწილეობა; ბ)კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო აქტივობებში-ვორქშოპებში/სემინარებში ჩართვა.	მასწავლებელი მკვეთრად გამოირჩევა თვითგანვითარებაზე ზრუნვით და კვალიფიკაციის პროგრესით. იჩენს ინიციატივას		
		კარგი/ქულა 2		
		მასწავლებელი თანახმაა მონაწილეობა მიიღოს თვითგანვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებში, თუმცა განსაკუთრებული ინტერესით არ გამოირჩევა. ნაკლებად იჩენს ინიციატივას.		
		დამაკმაყოფილებელი/ქულა 1		
		მასწავლებელი ნაწილობრივ ერთვება პროფესიული პროგრესისთვის საჭირო ღონისძიებებში. თავად არ იჩენს ინიციატივას.		
		არადამაკმაყოფილებელი/ქულა 0		
		მასწავლებელი არ იჩენს ინტერესს და არ ერთვება თვითგანვითარებისა და პროფესიული ზრდისთვის საჭირო აქტივობებში.		